

ლადო პაპავა:

"ასეთი უპირატესობით გამარჯვებას ნამდვილად არ ველოდი"

გაზეთი "რეზონანსი" – 19 აგვისტო, # 220, 2013

თსუ-ს აკადემიური საბჭოს ხმათა უმრავლესობით თსუ-ს ახალი რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა გახდა. მისმა გამარჯვებამ სტუდენტებში საკმაოდ დიდი კმაყოფილება გამოიწვია, თუმცა როგორც თავად პაპავა აცხადებს, ასეთ შთამბეჭდავ შედეგს არ ელოდა. როგორც მან "მთელ კვირასთან" ინტერვიუში განაცხადა, მის რექტორად არჩევას საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა, რამაც მისივე თქმით, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

"მთელი კვირა": თქვენ აკადემიური საბჭოს ხმათა უმრავლესობა მიიღეთ, რამაც სტუდენტების კმაყოფილება გამოიწვია, რამდენად ელოდით ასეთ შედეგს?

ლადო პაპავა: გულწრფელად გეტყვით, ასეთი უპირატესობით გამარჯვებას ნამდვილად არ ველოდი. არ მეგონა, რომ არჩევნები ასეთი შედეგით დასრულდებოდა და ჩემს მოლოდინს გადააჭარბებდა. ყველა ადამიანს უხარია, როდესაც რაღაც საქმეში მხარს უჭერენ, მაგრამ განსაკუთრებით სასიხარულოა, როცა მომავალი თაობის მხარდაჭერას გრძნობ. ყველა მხარდაჭერს დიდი მადლობა, მნიშვნელობა არ აქვს ეს სტუდენტია, პროფესორი, ყოფილი პროფესორი თუ უბრალოდ რიგითი ადამიანი. ძალიან ბევრი სრულიად უცხო ადამიანი ქუჩაში მხვდება და მილოცავს. მადლობა ახალგაზრდებს, რომ მხარი დამიჭირეს, თუმცა ეს ყველაფერი ავანსია. კეთილი სიტყვები, მილოცვა, აღფრთოვანება ეს არის ავანსი, რადგან ამოცანები მართლაც რომ ძალიან ბევრია გადასაწყვეტი, რაც საკმაოდ რთული იქნება. ღმერთმა მომცეს იმის ძალა, რომ თითოეული მათგანის იმედები გამემართლებინოს.

"მ.კ.": სტუდენტების ერთ-ერთი მოთხოვნა თსუ-ში სტრუქტურული რეორგანიზაცია და სწავლის ხარისხის გაუჯობესებაა, ხომ არ გეგმავთ ამ მიმართულებით უნივერსიტეტში რაიმე ცვლილებებს?

ლ.პ.: სწავლის ხარისხის გაუჯობესებაზე თავისთავად ცხადია ცვლილებებს შევიტან, ეს ჩემს კონცეფციაში დეტალურად არის აღწერილი. რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რასაც მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს. მოქმედი კანონით რექტორი თანამდებობის ის პირი არ არის, რომლის დანიშვნაც აკადემიურ სფეროში საკადრო

ცვლილებებს უნდა იწვევდეს. თანაც ამგვარი რევოლუციური ცვლილებებისთვის განწყობილი არ ვარ, რადგან ეს, როგორც წესი, დიდი შეცდომების გამომწვევი ხდება.

თანამშრომლებთან არსებული კონტრაქტები ბოლომდე დაცული იქნება. იმავდროულად შემოდისა გითხრათ, რომ რექტორს თავისი აპარატი აქვს, სადაც შეიძლება შედარებით სწრაფი ცვლილებების განხორციელება, თუმცა არც ეს არის თვითმიზანი. ვიხელმძღვანელებ მხოლოდ გარკვეული მოსაზრებებით, რაც იმისთვის იქნება საჭირო, რომ სასწავლო და სამეცნიერო პროცესი უკეთესად წარიმართოს.

"მ.კ.": სტუდენტებს ასევე ჰქონდათ მოთხოვნა სამომავლოდ რექტორი მრავალრიცხოვანმა წარმომადგენლობამ აირჩიოს, ამ პროცესში კი მათი ჩართულობაც მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, რამდენად შესაძლებელია ამ კუთხით რაიმე შეიცვალოს?

ლ.პ.: მივესალმები მათ მოთხოვნას. პირადად მე ვფიქრობ, რომ რაც უფრო წარმომადგენლობითი იქნება ის ორგანო, რომელიც რექტორს აირჩევს მით უკეთესი იქნება. მართალია რეალურად მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში რექტორს სწორედაც, რომ მცირერიცხოვანი საბჭო ირჩევს, მაგრამ ჩვენში, სამწუხაროდ, ჩამოყალიბდა გარკვეული უნდობლობა მცირერიცხოვანი საბჭოს მიმართ... რეალურად აკადემიური საბჭოს წევრები ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტთა ჯგუფმა აირჩია. შეიძლება, მაშინ ამომრჩევლებმა ბოლომდე ვერ გაიზრეს, რომ ისინი რექტორის ამომრჩევლებსაც ირჩევდნენ. ამით მათ თავიანთი უფლებების დელეგირება მოახდინეს. პირდაპირი არჩევნების იდეა მომწონს, თუმცა ჩვენ ამას ვერ მოვახერხებთ თუ კანონმა ამის უფლება არ მოგვცა.

პარლამენტმა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილებები მიიღო, სადაც რექტორს არა აკადემიური საბჭო არამედ ბევრად უფრო წარმომადგენლობითი კოლეგია აირჩევს, თუმცა მოგეხსენებათ პრეზიდენტმა ამ პროექტს ვეტო დაადო. ალბათ პარლამენტი ამ ვეტოსაც დაძლევს. ასე, რომ რექტორის არჩევის საკითხი უშუალოდ კანონითაა რეგლამენტირებული.

"მ.კ.": თავად როგორი სტუდენტი იყავით, როგორი ვითარება იყო თქვენ დროს უნივერსიტეტში?

ლ.პ.: 1972 წელს თბილისის მე-15-ე საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. მაშინ ასეთი წესი იყო: ოქროსმედალოსანი აბიტურიენტი მისაღებ გამოცდებზე მხოლოდ ერთ საგანს აბარებდა. მე ჩავაბარე თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით. პირველი ჩასაბარებელი საგანი მათემატიკა იყო, რომელშიც ორი გამოცდა იყო: წერითი და ზეპირი. საჭირო იყო ორივე

გამოცდაში 5-იანი მიგელო (მაშინ ასეთი შეფასების სისტემა იყო). სწორედ ასე გავხდი უნივერსიტეტის სტუდენტი. ეს ის წელია, როდესაც უნივერსიტეტის რექტორობიდან აკადემიკოსი ილია ვეკუა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობაზე ახალი გადაყვანილი იყო. პირველკურსელებს, როდესაც სტუდბილეთებს გადმოგვცემდნენ, ძალიან გული დამწყდა, რომ მსოფლიო სახელის მქონე ქართველი მათემატიკოსისგან ის არ მიმიღია...

ჩემი სტუდენტობის პერიოდში უნივერსიტეტში სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვის საკითხი კარგად იყო აწყობილი იმ თვალსაზრისით, რომ პრაქტიკულად მეორე კვირას სტუდენტთა სამეცნიერო წრეში გაწევრიანება შემომთავაზეს. რამოდენიმე თვეში ერთ-ერთმა წამყვანმა ქართველმა ეკონომისტმა, პროფესორმა გივი ჭანუკვაძემ შემომთავაზა, რომ ჩემი პირველი სამეცნიერო ნაშრომი დამეწერა, გაზაფხულზე კი თეზისები გამოქვეყნდა. ჩემი უნივერსიტეტში შესვლა და სამეცნიერო საქმიანობისადმი ზიარება პრაქტიკულად ერთიანი პროცესი იყო. უნივერსიტეტი 1977 წელს წითელ დიპლომზე დავამთავრე.

"მ.კ.": ალბათ რაიმე ჰობიც გექნებოდათ, ლექციებს საერთოდ არ აცდენდით?

ლ.პ.: უნივერსიტეტში ლექციის გაცდენა საკმაოდ დიდ პრობლემებს ქმნიდა: დაგიბარებდნენ დეკანატში, საყვედურს გამოგიცხადებდნენ, სტიპენდიას მოგიხსნიდნენ და შეიძლება გაერიცხე კიდევ. განსაკუთრებით მობილიზებული სტუდენტი ვიყავი, მაგრამ ლექციებზე დასწრება არ ყოფილა თვითმიზანი, თუმცა მქონდა არჩეული პრიორიტეტული საგნები, რომლებიც ძალიან მაინტერესებდა. უკვე სტუდენტობის წლებში ვცდილობდი სერიოზული სამეცნიერო ნაშრომები დამეწერა. უბრალოდ გართობის ის რესურსი რაც დღევანდელ ახალგაზრდობას აქვს, მაშინ არ გვქონდა და ესეც თავისთავად ბევრ რამეს განაპირობებდა. ჩემი ჰობიც მქონდა: რამოდენიმე ათეული წელია, არც ჩოგბურთს ვთამაშობდი, მაგრამ წელიწადნახევრის წინ ტრამვა მივიღე და ეხლა ჯერ-ჯერობით ვეღარ ვახერხებ.

"მ.კ.": რას უსურვებს სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყებამდე ახალი რექტორი?

ლ.პ.: მინდა ყველა სტუდენტს ვუსურვო, რომ უნივერსიტეტში გატარებული წლები მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ყოფილიყოს, მიეღოთ ის, რასაც ელოდებიან. უნივერსიტეტი ყველა სტუდენტისთვის ცოდნის, შემოქმედების, სამართლიანობის, წესიერებისა და მომავლის იმედის სიმბოლო უნდა იყოს, როგორც ეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ჩაიფიქრეს.

სალომე სარიშვილი